განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“-ს მიერ AR1805851 განაცხადზე, გადაწყვეტილება #5348430-ით დადგენილ ხარვეზებთან მიმართებაში

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2021 წლის 26 თებერვალს დარეგისტრირდა AR1805851 განაცხადი, სატრანსპორტო მომსახურების ობიექტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შეფასება, საექსპერტო დასკვნის სახით.

არქიტექტურის სამსახურის №5348430 გადაწყვეტილებით პირველი პუნქტით დადგენილ ხარვეზის შესახებ განვმარტავთ შემდეგს:

საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: არასწორად არის განსაზღვრული დაკავებულობა, საგამოფენო დარბაზი **თვ-3** ჯგუფის დაკავებულობაა და შესაბამისად დააკორექტირეთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია...

ზემოთ აღნიშნულზე განვმარტავთ, რომ აღნიშნული დაკავებულობა წარმოადგენს ავტომობილების საგამოფენო დარბაზს და ჩვენს მიერ სწორადაა განსაზღვრული დაკავებულობა **(სქ ჯგუფი)**, 304.1 ქვეთავის ჯგუფის ჩამონათვალში პირდაპირაა განსაზღვრული ავტომობილების საგამოფენო დარბაზი როგორც **სქ-1** ჯგუფი.

ქვეთავი 304 - საქმიანი ჯგუფი სქ

304.1 საქმიანი ჯგუფი სქ. საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად. საქმიანი ჯგუფის დაკავებულობები მოცავს შემდეგს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

- ამბულატორიულ კლინიკებს;
- ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებს;
- ბანკებს;
- ვეტერინალურ სავადმყოფოებს, ცხოველთა სადგომებსა და თავშესაფრებს;
- მანქანის სამრეცხაოებს;
- მონაცემთა ელექტრონული დამუშავებას;
- მშრალი წმენდას და სამრეცხაოებს: მიღება-ჩაბარების პუნქტებს და თვითმომსახურებას;
- პროფესიულ მომსახურეობებს (არქიტექტორების, ადვოკატების, სტომატოლოგების, ექიმების, ინჟინრებისა და სხვ.);
- საავიაციო ტრანსპორტის საკონტროლო კოშკებს;
- საგანმანათლებლო დანიშნულებით გამოყენებულ ფართობებს სტუდენტებისთვის 12 კლასს ზემოთ;
- სადალაქოებსა და სილამაზის სალონებს;
- სატელეფონო კვანძებს;
- ავტომობილების საგამოფენო დარბაზებს;
- საფოსტო განყოფილებებს;
- საქალაქო/მუნიციპალურ და სამთავრობო ადმინისტრაციას;
- [illegible]

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი:

ს. მელიქიშვილი

შ.პ.ს. „ქალაქპროექტი“

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5 მისამართზე,
(ს/კ 01.72.14.013.442) სატრანსპორტო მომსახურების ობიექტის (შენობა 01/4)
რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 1

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5

საკადასტრო კოდი: 01.72.14.013.442

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სატრანსპორტო მომსახურების ობიექტი

დამკვეთი: შ.პ.ს „გრავიტა“

პროექტის ავტორი: რომეო ესართია

შენობა ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6) მისაწვდომობის შეფასებას;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
12) ლიფტისადმი მოთხოვნის შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს;

დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)

2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა–ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

<u>გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.</u>

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პროექტით გათვალისწინებულია 10.56 მ. სიმაღლის, 2 სართულიანი სატრანსპორტო მომსახურების შენობის (შენობა 01/4) რეკონსტრუქცია.

არსებული შენობის სარეკონსტრუქციო ნაწილი, შენობის დანარჩენი სივრცისგან გაიმიჯნა 3 საათიანი ხანძარმედეგობის კედლით (706.5 და 706.6 ქვეთავების შესაბამისად).

გამიჯნულ ნაწილში მოეწყო შოურუმი (ავტომობილების საგამოფენი დარბაზი) და საოფისე სივრცე (სქ).

გამიჯნულ ნაწილს მიემატა ახალი ფლიგელი, სადაც გათვალისწნებულია ავტომობილების შესაკეთებელი გარაჟი და საავტომობილო ნაწილების საწყობი (სწ-1).

±0.00 ნიშნულზე განთავსებულია შოურუმი და ავტომობილების შესაკეთებელი გარაჟი.

+4.07 და +5.55 ნიშნულებზე განთავსებულია საოფისე სივრცე.

შენობისგან დამოუკიდებლად განთავსებულია სახანძრო ტუმბოების და ავზის სათავსი, ასევე სათადარიგო ელ. მომარაგების ოთახი.

არსებული შენობის კონსტრუქციად გაძლიერებული ბეტონის კარკასი, შემავსებლად გამოყენებულია სამშენებლო ბლოკით, რომელიც მოპირკეთებულია საფასადე პანელებით, მოეწყობა ალუმინის ვიტრაჟები.

შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით (არსებული და საპროექტო). ასევე შენობაში გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

<u>საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1</u>

±0.00 ნიშნულზე განთავსებული ავტომობილების შესაკეთებელი გარაჟი.

+5.55 ნიშნულზე განთავსებული ავტომობილების სათადარიგო ნაწილების საწყობი.

<u>აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.</u>

<u>საქმიანი ჯგუფი სქ</u>

±0.00 ნიშნულზე განთავსებული ავტომობილების საგამოფენო დარბაზი.

+4.07 და +5.55 ნიშნულებზე განთავსებული საოფისე სივრცე.

აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.

დაკავებულობის ჯგუფის კლასიფიცირება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 304, 311 და 312-ის მიხედვით.

შენობაში არსებული თითოეული დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. სწორად არის არჩეული სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობი გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე. კერძოდ:

- ავტომობილების შესაკეთებელი გარაჟისთვის (სწ-1) მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჟების სივრცის სტატუსი და შემდგომ მთლიანი ფართობი გაყოფილია 18.6-ზე.
- სავტომობილების სათადარიგო ნაწილების საწყობისთვის მიკუთვნებულია საწყობების სივრცის სტატუსი და მთლიანი ფართობი გაყოფილია 46.5-ზე.

- ავტომობილების საგამოფენო დარბაზისთვის და ოფისებისთვის (სქ) მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის სტატუსი და შემდგომ ამ სივრცის მთლიანი ფართობები გაყოფილია 9.3-ზე.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავი 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით.

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობისთვის განსაზღვრულია II-B კონსტუქციული ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- 503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კოსნტრუქციული II-B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს. შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 10.56 მ.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 5, ქვეთავი 503; ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის თითოეულ დაკავებულ სივრცეს, დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), მოეთხოვება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ, თითოეულ დაკავებულ სივრცეს ემსახურება მინიმუმ სამი გასასვლელი საშუალება.

- შენობის ±0,00 ნიშნულზე განთავსებულ ავტომობილების საგამოფენო დარბაზს (სქ) აქვს სამი გასასვლელი გზა-კარი. სამივე გასასვლელიდან ვხვდებით პირდაპირ შენობის გარეთ. ამავე ნიშნულზე განთავსებულ ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟს (სწ-1) მოეთხოვება 2 გასასვლელი, თუმცა პროექტით გათვალისწინებულია 3 გასასვლელი გარეთ გასასვლელი გზა-კარის სახით.

- გასასვლელებს შორის დაშორება აკმაყოფილებს აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- +4.07 ნიშნულზე განთავსებულ საოფისე სივრცეს გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (შენობიდან გამოსასვლელმდე მანძილი არ აღემატება 23 მ-ს) აქვს 1 გასასვლელი შიგა გზა-კიბე, რომელიც ბოლოვდება შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარით.
- +5.55 ნიშნულზე განთავსებულ სართულს, დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), მოეთხოვება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია 2 გზა-კიბის სახით.
- შენობაში გათვალისწინებული გზა-კიბეები მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1022.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ორივე გზა-კიბე სრულდება შენობის გამოსასვლელთან, რაც აკმაყოფილებს 1022.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.
- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარის რაოდენობა და მდებარეობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავს.
- ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი, გზა-კიბეები არ არის აუცილებელი, რომ იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცეები. საკმარისია გზა-კიბეები, 1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად, შემოზღუდული იყოს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით და ნიავდებოდეს ბუნებრივად ან მექანიკურად, რაც პროექტით გათვალისწინებულია. განიავება ხდება ბუნებრივად.
- გზა-კიბეებთან მისადგომი ღიობები დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.
- გარე გზა-კიბის მინიმალური ცეცხლგამყოფი მანძილი შეადგენს 3.0 მეტრს, რაც გაზომილია გზა-კიბის გარე კიდიდან ბაქნების ჩათვლით, რაც აკმაყოფილებს 1026.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე გზა-კიბე შენობის შიგა სივრცისგან გამიჯნულია 1022.2 ქვეთავის შესაბამისად, რაც აკმაყოფილებს 1026.6 ქვეთავის მოთხოვნას.
- პროექტით გათვალისწინებულია გასასვლელი საშუალებების ავარიული განათება. სათადარიგო ელ-მომარაგების მიზნით მიწის ნაკვეთზე, შენობისგან დამოუკიდებლად გათვალისწინებულია გენერატორის განთავსება.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1008, 1009, 1014, 1016, 1018 და 1021; ცხრილი 1021.2(2)

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- შიგა გასასვლელი ორივე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს. ყველა ერთფრთიანი კარის თავისუფალი სიგანეა 0.82მ, ხოლო ორფრთიანის ცალი ფრთა 0.82მ. თავისუფალ სიგანეს. აღნიშნული აკმაყოფილებს 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.
- დეწზე მომუშავე კარი მოწყობილია 1008.1.4.2, ხოლო შვეულად მოსრიალე გისოსი 1008.1.4.4 ქვეთავების შესაბამისად.
- დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. მინიმალური სიგანე არის 1.20 მეტრი, დერეფნები უზრუნველყოფილი იქნება მექანიკური განიავების სისტემით.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1005, 1009, 1012, 1013, და 1018.

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი განთავსებულია მიწის დონეზე (±0.00 ნიშნულზე) და არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- პირველი სართული უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტით და სხვა მოწყობილობებით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სრულყოფილად ისარგებლებენ ყველა ფუნქციით.
- 1104.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად +4.07 ნიშნულზე განთავსებული საოფისე სივრცე არ საჭიროებს მისაწვდომობას (ვინაიდან ფართობი ნაკლებია 280 კვ.მ-ზე).
- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.
- შშმ პირთა გადადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად ;
- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 11, ქვეთავი 1104, 1106 და 1109, ცხრილი 1106.1.

შენობის ყველა ნაწილში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის „1-4“, „4-1“ და “H-a” ფასადებზე, გარე კედლებს, 602 ცხრილის თანახმად, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა (3.0 მ-ზე მეტი) და კონსტრუქციის ტიპის II-B გათვალისწინებით, არ მოეთხოვება ხანძარმედეგობის ხარისხი და ამ კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი, 705.8.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის შესაბამისად შეუზღუდავია.

“H-a” ფასადზე, გარე კედლის ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს, რაც აკმაყოფილებს 602 ცხრილის მოთხოვნებს.

“B” ღერძის გაწვრივ განთავსებულია საზიარო გამმიჯნავი კედელი, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 3 საათს.

- შენობის არსებულ ნაწილს გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის პარაპეტი, ხოლო მიშენებულ ნაწილს არ აქვს პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად. მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 602, ცხრილი 602.
თავი 7, ქვეთავი 705, ცხრილი 705.8.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- შენობის სახურავი არის კომბინირებული, კერძოდ, შოურუმის და ოფისების სივრცეს გააჩნია ბრტყელი გაძლიერებული ბეტონის გადახურვა, რომლის ცეცხლმედეგობა მინიმუმ 2 საათია, ხოლო ავტოშესაკეთებელ და სასაწყობო ნაწილის გადახურვა ქანობიანია. ამ ნაწილში გადახურვის ბურულის მასალად გამოყენებულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის “სენდვიჩპანელი“, რომელიც მოწყობილია ლითონის კოჭებზე. აღნიშნულ ნაწილში სახურავს, კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება, რაც დასაშვებია და აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს,

თუმცა პარაპეტის არარსებობის გამო გადახურვას გააჩნია 1 საათიანი ცეცხლმედეგობა.

- არსებულ შენობაზე მოწყობილი პარაპეტის სიმაღლე, სადაც სახურავის ზედაპირი და კედელი ერთმანეთს კვეთს არის მინიმუმ 76 სმ, რაც აკმაყოფილებს 705.11.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601. თავი 7, ქვეთავი 705. თავი15, ქვეთავი 1507

<u>სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს</u>

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში განთავსებული საქმიანი (სქ) და სასაწყობო (სწ-1) ჯგუფები ერთმანეთისგან ცეცხლმედეგობის ხარისხიანი გამმიჯნავების არსებობას 508.4 ცხრილის მიხედვით არ საჭიროებს.
- რაც შეეხება სარეკონსტრუქციო ნაწილის გამმიჯნავ საზიარო კედელს, მას გააჩნია 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანარჩენი ფართობებისგან 1 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით არის გამიჯნული კიბის უჯრედები, რომელთა ღიობებში მოწყობილია 60 წთ-იანი ცეცხლმედეგობის კარებები, რაც შეესაბამება 1009.3.1.2 ქვეთავისა და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.
- ვინაიდან შენობა მთლიანადაა აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით, 1018.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით დერეფნებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება და შესაბამისად არც პროექტით არ არის გათვალისწინებული.

- შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 1 საათიანი, რაც აკმაყოფილებს 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 5, ქვეთავი 508, ცხრილი 508.4; თავი 7, ქვეთავი 713 და716, ცხრილი 716.5 და 716.6; თავი 10, ქვეთავი 1009,1018, ცხრილი 1018.1.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- პროექტის მიხედვით მთლიან შენობაში გათვალისწინებულია ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა.

  შენიშვნა: ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1-903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

- 907.2.9.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას (სახანძრო სიგნალიზაცია), რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60 მ-ს არ აღემატება.
- 907.2.13.1.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლის ავტომატური აღმომჩენები.

  შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- მთელ შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები;

  შენიშვნა: ხელის ცეცხლმაქრების განთავსება უნდა მოხდეს 906 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 9.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ:

- თითოეული დაკავებული ჯგუფისთვის გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ტუალეტები ცალ-ცალკე სქესისთვის.
- ორივე მისაწვდომ სართულზე მისაწვდომი ტუალეტი.
- თითოეულ სართულზე გათვალისწინებულია სამომხმარებლო ნიჟარა.
- „წესების“ 1602.3.2 ქვეთავში. მისასვლელი სავალი გზის სიგრძე არ აღემატება 150 მეტრს და ასევე აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობაში მოწყობილია წყლის დასალევი შადრევანი და აკმაყოფილებს 1602.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1

<u>წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

12. ლიფტის შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ერთი სამგზავრო ლიფტი.
- სამგზავრო დანიშნულების ლიფტის კაბინის გაბარიტები არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სამგზავრო ლიფტის შახტის ღიობები დაცულია 60 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა: <u>ლიფტი უნდა მოეწყოს მე-17 თავის მოთხოვნათა დაცვით.</u>

<u>ლიფტებითან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №5 მისამართზე, (ს/კ 01.72.14.013.442) სატრანსპორტო მომსახურების ობიექტის (შენობა 01/4) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი



<u>გაფრთხილება!</u>

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;

- ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;
- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;
- სახანძრო განგაშის სისტემები;
- ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები).

<u>გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)</u>

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

25.02.2021 წ.

სპარტაკი მელიქიშვილი



მობილური: 995595989555
ელ-ფოსტა: smelikishvili@yahoo.com
ოჯახური მდგომარეობა: დასაქორწინებელი
დაბადების თარიღი: 18 იანვარი, 1969

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1990 - ივლისი / 1996
არქიტექტორი, არქიტექტურა
უმაღლესი განათლება

სამუშაო გამოცდილება

სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური ***თებ / 2015 - ივნ / 2016 (16 თვე - 1,5 წელი)***

<u>მოვალეობები:</u> I-II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელი, შ. პ. ს " არქსტუ-დია", ნოე / 2006 - ნოე / 2014 (96 თვე - 8 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", ნოე / 2004 - ნოე / 2006 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> მშენებლობის მართვის სამსახური

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " ბურჯი", ივლ / 2004 - ნოე / 2004 (4 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

უფროსი არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", სექტ / 2002 - ივლ / 2004 (22 თვე - 1 წელი და 10 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს"არქსტუდია", სექტ / 2000 - სექტ / 2002 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტექტორი, **მ ს " თბილქალაქპროექტი"**, აგვ / 1999 - სექტ / 2000 (13 თვე - 1 წელი და 1 თვე)

მოვალეობები: პროექტირება

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

სრული სტაჟი: 199 თვე (16 წელი და 6 თვე)

ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი), რუსული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD (ძალიან კარგი), 3D MAX (ძალიან კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Arc GIS (ძალიან კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), Microsoft Office Word (ძალიან კარგი)

პროექტები

- **PAPILON**, ოქტომბერი / 2013 - ნოემბერი / 2013
  სავაჭრო პავილიონი,
  ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნაკვეთი#25/21

- **სასტუმრო სამტრედიის ქუჩაზე**, მაისი / 2013 - ივნისი / 2013
  სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირი #117.

- **საცხოვრებელი კომპლექსი**, თებერვალი / 2013 - მარტი / 2013
  საცხოვრებელი და კომერციული,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში ნუცუბიძის IV მიკრო, ნაკვეთი 02/041.
  შენობა შვიდსართულიანია, პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული ფართები, ხოლო დანარჩენი სართულები არის საცხოვრებელი.

- **საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო**, ოქტომბერი / 2012 - ნოემბერი / 2012
  საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ავშნიანი, ნაკვეთი# 6/74
  ობიექტი გამოირჩევა მისი რელიეფით ნაწილი შენობის სამ სართულიანია, ნაწილი ერთი.

- **შეშელიძის 25ა**, ივლისი / 2012 - აგვისტო / 2012
  მრავალფუნქციური,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქ #25ა შენობა ორსართულიანია და არის მრავალფნუქციური. პირველ სართულზე განლაგებულია ავტოსერვისის ბოქსები, ავტონაწილების მაღაზია, კაფე. მეორე სართულზე კი ოფისები.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აპრილი / 2011 - ივნისი / 2011

  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილ-სანერგე მეურნეობა.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აგვისტო / 2010 - ოქტომბერი / 2010
  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის პლატო, IV მიკრო,
  ნაკვეთი#003/055

- **PARK PLACE**, ნოემბერი / 2004 - მაისი / 2006
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  ობიექტი მდებარეობს ი.ჭავჭავაძის გამზირზე #80(ცუს ტბის ასასვლელთან)
  არქსტუდიამ განახორციელა მშენებლობის მენეჯმენტი, რომელ ჯგუფშიც ვიყავი მთავარი არქიტექტორი, აღნიშნული კომპლექსი ერთ-ერთი პირველი ობიექტია რომელიც ჩაბარდა დასრულებული ბინებით.

- **ჭავჭავაძის 23-23ა**, დეკემბერი / 2002 - მარტი / 2003
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს"არქსტუდიის" ჯგუფთან ერთად

- **ბანკი რესპუბლიკა**, მარტი / 2002 - თებერვალი / 2003
  სათაო ოფისი,
  ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში გრიგოლ აბაშიძის # 2 (ყოფლი ატენის ქუჩა)
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს არქსტუდიის ჯგუფთან ერთად

- **ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი**, თებერვალი / 1999 - ოქტომბერი / 1999
  სამედიცინო ცენტრი,
  პროექტი შესრულდა მ.ს "ქალაქპროექტი"-ის ზურაბ ზურაბიშვილის სახელოსნოში

საკონტაქტო ინფორმაცია

მამის სახელი	არსენი
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
დაბადების ადგილი	თბილისი
სამხედრო ვალდებულება	სამხედრო მოსამსახურე
პირადი ნომერი	01006006674
სერია	18IB27392
ფაქტობრივი მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
რეგისტრაციის მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
ავტომანქანის მართვის მოწმობის ნომერი	AH # 0543331
სახლის ტელეფონი	2530269

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-030

გადაეცემა

სპარტაკ მელიქიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ გოლოთაშვილი, დირექტორი



საქართველო

დიპლომი ლი № 012022

მიეცა სპარტაკ არსენის ძე ჭელოქაშვილს

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის სრული კურსი არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით ს.ა.ჭელოქაშვილს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „31" X 1996 წ.

რეგისტრაციის № 4719